



საქართველო



39928-01-2-201310011617

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/39928
01/10/2013

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-
საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორს
ქ-ნ ეკა გიგაურს,
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
განმარტება

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასთან - „განცხადება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო სამსახურებიდან თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ“, დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა გაცნობით შემდეგი:

უპირველ ყოვლისა, უნდა ავლნიშნოთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ (შესაბამისი განკარგულების საფუძველზე) როტაციის ვადის ამოწურვამდე, გამოწვეული იქნა 10 საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 8 ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩაირიცხა სამინისტროს დიპლომატიურ რეზერვში, ხოლო ორი მათგანი ბ-ნი თ.შარაშენიძე და ბ-ნი ზ. პატარაძე დაინიშნენ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებად აზერბაიჯანისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში.

ელჩების გამოწვევის მიზეზებთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

ბელგიის სამეფოში ქ-ნი ს. სამადაშვილი უწყვეტად იმყოფებოდა 7 წელი და 5 თვე, ხოლო - ბ-ნი გ. ქერდიყოშვილი ლიტვის რესპუბლიკაში - 9 წელი და 3 თვე, აქედან 4 წელი და ექვსი თვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში. შესაბამისად, მათი დარჩენა ადგილსამყოფელ ქვეყნებში არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

ხაზგასმით უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების პოზიციაზე კარიერული დიპლომატების წარდგენა. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით იქნა მომზადებული წინადადება საქართველოს პრეზიდენტისთვის, რათა მომხდარიყო პოლიტიკური ნიშნით დანიშნული ელჩების როტაციის ვადაზე ადრე გამოწვევა ადგილსამყოფელი ქვეყნებიდან. კერძოდ, ბულგარეთიდან გამოწვეულ იქნა ბ-ნი ლ.მეტრეველი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან - ბ-ნი მ. გამყრელიძე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან - ქ-ნი გაბრიელა ჰაბსბურგ-ლოტრინგენი, ხოლო ყაზახეთის რესპუბლიკიდან - ბ-ნი დ.მუმლაძე.

პატივისცემით,

გიორგი ხელაია
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01

www.mfa.gov.ge